

საბა

საგარეო ურთიერთობების კათოლიკეთა
წიგნის გამომცემი

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

№8 (332) | 2023



ნმ. მოციქულის, მარ თომას ასირიულ-ქალდეური
რელიგიურ-კულტურული ცენტრის კურთხევა ქალაქ გარდაბანში
2023 წლის 10 ივლისი

30 წელი
საგარეო ურთიერთობების
კათოლიკეთა
წიგნის გამომცემი



აგვისტო

ჩედაძეორის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია
მსოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია..... 7-10

ჩანართი:.....I-IV

ეკუმენური გვერდი 11

ქრისტეს თანამედროვე
მონათესაე 12-13

თეოლოგიური
გვერდი 14-15

ჰომილია..... 16

კათოლიკური
კულინარია 17

საბავშვო გვერდი..... 18

ინფორმაცია..... 19

5-6 აგვისტო - ახალგაზრდების შეკრება წეროვანში, ამავე დღეებში ლისაბონში პაპთან შეხვედრა

5 აგვისტო - წმ. მარიამის ბაზილიკის კურთხევა, უდის საკრებულოს დღეობა მთაში

6 აგვისტო - ფერიცვალება, დ. მარიეტ დეროშეს გახსენება (+ 2022)

9 აგვისტო - წმ. ტერეზა ბენედიქტა ჯვრისას, ევროპის მფარველის, დღესასწაული

10 აგვისტო - წმ. ლავრენტის დღესასწაული

15 აგვისტო - მარიამის ზეცად აღყვანების დიდდღესასწაული, საკათედრო ტაძრის საკრებულოს დღეობა თბილისში, უდის დიდი ეკლესიის დღეობა

16 აგვისტო - საკათედრო ტაძრის კურთხევის დიდდღესასწაული (სხვა სამრევლოებში დღესასწაული)

21-27 აგვისტო - ოჯახების საზაფხულო ბანაკი ურეკში

22 აგვისტო - წმ. მარიამ დედუფალი, ვარგავის ეკლესიის დღეობა

24 აგვისტო - წმ. ბართლომე მოციქულის დღესასწაული

27 აგვისტო - დიაკონ თენგიზ პარმაქსიზიშვილის გახსენება (+2021)

30 აგვისტო - მ. ანდრია გოგილაშვილის გახსენება (+1937)



კიდევ რამდენ ხანს უნდა ველოდოთ, კრემიერმინისტრო?



უკვე 500 დღე გავიდა უკრაინასა და რუსეთს შორის კონფლიქტის დაწყებიდან, როდესაც, 2022 წლის 24 თებერვლის გამთენიისას, ვლადიმერ პუტინის ჯარები მეზობელ ქვეყანაში შეიჭრნენ, დაიწყო ბრძოლა, რომელიც დღემდე გრძელდება და რომელსაც ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს. ჯერ გადაკვრითაც კი არ თქმულა სიტყვა ღია მოლაპარაკებების შესახებ, დათმობაზე წასვლა ბარიკადის არცერთ მხარეს არ სურს. ამ ხნის მანძილზე კი უამრავი დაღუპული ადამიანია, ოჯახს მონყვეტილი ბავშვები, დანგრეული ქალაქები, ეკოლოგიური კატასტროფები, საერთაშორისო სოლიდარობა კიევში, წარუმატებელი საშუაშვლო მცდელობები, უკრაინისთვის უფრო ძლიერი იარაღის მიწოდება, რუსეთის იზოლირება და მისი ლიდერების სანქცირების პროცესები, ნატოს, აშშ-სა და ევროპის მტკიცე განცხადებები და თავად რუსეთში სამოქალაქო ომის საფრთხე; მოსკოვის

მუქარა, არცთუ ისე დაფარული, რომ კონფლიქტი, ადრე თუ გვიან, შეიძება ბირთვულ ომში გადაიზარდოს. კარდინალი ძუპიც, უნმიდესი მამის, ფრანცისკეს სახელით, ივნისის თვეში გამართულ ვიზიტებზე, როგორც კიევში, ასევე მოსკოვში, ცდილობდა „წახეხალისებინა ჰუმანურობა, რაც ხელს შეუწყობდა არსებული ტრაგიკული სიტუაციიდან გამოსვლას და სამართლიანი სამშვიდობო გზების პოვნას“, თუმცა კონკრეტული შედეგების

მამა ბაბრიელ ბრაგანტინი CSS

სტიგმალი;
ეპისკოპოსის ვიკარიუსი
ეკუმენიზმისა და კულტურის
დარბში; ქუთაისის,
ბათუმისა და ოზურგეთის
საპრეზბულოთა წინამძღვარი



რედაქტორის გვერდი

გარეშე... ნუთუ ომი რომ დასრულდეს, მეათასე დღეს უნდა ველოდოთ?

ასევე, როდემდე უნდა ველოდოთ საქართველოს მთავრობის პასუხს ვატიკანის სახელმწიფო მდივნის, კარდინალ პაროლინის 2023 წლის 27 იანვრით დათარიღებულ წერილზე (გამოქვეყნდა „საბას“ ივლისის ნომერში) კათოლიკური ეკლესიების დაბრუნების შესახებ?

1-ელ აგვისტოს 186 დღე შესრულდება წერილის მიღებიდან; ნუთუ პასუხისთვის 500 ან 1000 დღეს მოგვიწევს ლოდინი? ნეტავ, რატომ არის ესოდენ რთული საწერ-კალმისა და ქალაქის აღება და პასუხის გაცემა? თუკი ამდენი დრო სჭირდება სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის ოფიციალურ წერილზე პასუხის გაცემას, ვინ იცის, რამდენ ხანს უნდა ელოდოს საქართველოს რიგითი მოქალაქე თავისი ხელისუფლებისგან სასწრაფო და აუცილებელ პასუხს?

არადა, ოფიციალურად ყველაფერი კარგად გამოიყურება; საქართველოს პრეზიდენტებისა და პრემიერმინისტრების ლამაზი სიტყვები ვატიკანში ოფიციალურ ვიზიტებზე და პირიქით: ღიმილი, ხელის ჩამორთმევა, ფოტოები, ოფიციალური სადი-

ლი და შემდეგ...? წერილში აღნიშნულია, რომ პრემიერმინისტრმა არ იცოდა ამ პრობლემის შესახებ და ამიტომ ვერ ჩაერია; მაგრამ ახლა, როცა ეს მისთვის უკვე ცნობილია და ინფორმაცია მიღებულია არა „უბრალო“ ანგარიშიდან, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია რომ აღწერს თავის მოხსენებაში რელიგიურ ვითარებას (იხილეთ, მაგალითად, „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში“, 2022 წლის ანგარიში, ვებგვერდზე: www.tdi.ge), არამედ, თვით ვატიკანის სახელმწიფო მდივნისგან, ამ შემთხვევაში რას აკეთებს ის? არაფერს. ალბათ, უბრალოდ, ცდილობს დრო მოიგოს: დაიწყება ახალი არჩევნები და ეს მწვავე საკითხი სხვაზე გადაინაცვლებს... და ყველაფერი ისევ ძველებურად გაგრძელდება, უნიათო ხელისუფლება ვერ მიიღებს გადაწყვეტილებებს საპატრიარქოს გავლენისგან დამოუკიდებლად.

არ დაგვაზინყდეს, რომ არსებობს სპეციალური ორგანო (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო), რომელმაც უნდა იცოდეს კონფესიათა პრობლემები და აცნობოს ყოველივე მთავრობას, რათა მოიძებნოს გამოსავალი. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმეს პირი არ უჩანს!



კარდინალ მათეო ძუპის ვიზიტი მოსკოვში




28-30 ივნისს ბოლონიის მთავარეპისკოპოსი, იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის მეთაური, კარდინალი მათეო ძუპი, უწმიდესი ფრანცისკეს სამშვიდობო მისიის ფარგლებში, ჩავიდა მოსკოვში, სადაც საგარეო საქმეთა საკითხებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწეს, იური უშაკოვს, ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხში პრეზიდენტის რწმუნებულს, მარია ლვოვა-ბელოვას და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქ კირილეს შეხვდა. „თუ ქვეყნებსა და ერებს ერთმანეთის ესმით, მაშინ რეალური პოლიტიკაც ქვეყნებისა და ერების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ ურთულეს დროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულმა თემებმა მონაწილეობა მიიღონ შერიგების პროცესში. უკრაინის სიტუაცია პირადად ჩემთვის ძალზე მტკივნეულია. მე მივუძღვი მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლის მრევლის წევრები როგორც რუსეთში, ასევე უკრაინასა და სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ. ამიტომ უკრაინელი და რუსი ხალხის ტანჯვა ჩემს გულში ღრმა იარას ტოვებს. ჩვენ ყველა საშუალებას მივმართავთ, რათა ეს საშინელი კონფლიქტი რაც შეიძლება მალე დასრულდეს, რათა მას რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი ემსხვერპლოს“, - განაცხადა კირილემ.

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ არსებულ სიტუაციაში ყურადღებას ჰუმანიტარული საკითხების გადაწყვეტაზე გაამახვილებენ. წმიდა საყდრის პრესსამსახური იტყობინება, რომ

პრეზიდენტის თანაშემწესთან და რწმუნებულთან საუბრისას ხაზი ასევე გაესვა თანამშრომლობის ჰუმანიტარულ ასპექტს. სამშვიდობო დესპანის ვიზიტის დასრულების შემდეგ, 30 ივნისს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დელეგაციის წევრებისადმი მიმართულ სიტყვაში უწმიდესმა პაპმა უკრაინის ომს „გაუთავებელი“ უწოდა: „ამ გაუთავებელი ომის ტრაგიკული რეალობა ჩვენს ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს, რათა დავსახოთ გზები, რომლებიც სამართლიანი და მდგრადი მშვიდობისკენ წაგვიყვანს“.

კათოლიკე ხელოვანთა მიერ შექმნილი ფილმის წარმატება

კათოლიკე რეჟისორის, ალესანდრო მონტევერდესა და, ასევე, კათოლიკე პროდუსერისა და მსახიობის, ედუარდო ვერასტეგის ფილმი „მშვიდობის ხმა“ (Sound of Freedom) მსოფლიოს კინოეკრანებზე 2023 წლის 4 ივლისს გამოვიდა და შემოსავლებით ახალ „ინდიანა ჯონსს“ გაუსწრო. ფილმი რეალურ მოვლენებს ეფუძნება. ამერიკელი მწერალი და ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი ტიმოთი ბალარდი, მიემგზავრება კოლუმბიაში, რათა ადამიანებით მოვაჭრეების ხელიდან მის მიერ გადარჩენილი ბიჭუნას და იხსნას. ტიმოთი ბალარდის როლი შეასრულა ჯეიმს კევიზელმა, რომელიც ასევე აქტიური კათოლიკეა და რომლის ფილმოგრაფიაშიც შეხვდებით ისეთ ფილმებს,



როგორიცაა „ქრისტეს ვნებანი“ (2004) და „გრაფი მონტე კრისტო“ (2002). „ქრისტეს ვნებების“ შემდეგ ეს საუკეთესო ფილმია, რომელშიც მითამაშია“, - აღნიშნა ჯეიმს კევიზელმა Catholic News Agency-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ახალგაზრდობის



ლებსაც უფალი უგზავნიდა. „მამინ მივხვდი, რომ ის მუდამ ჩემთან იყო, რომ არასდროს გამანბილებდა, რომ ჩემი მომავალი სულაც არ არის უიმედო“, - გაიხსენა პედრო სილვამ Catholic News Agency-ის კორესპონდენტთან საუბრისას. ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებისთვის მისჯილი ექვსწლიანი პატიმრობის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე მან საღებავით დაფარა ორმოცდაათი პორტატული სააღმსარებლო, რომლებიც, ოთხ სხვა პატიმართან ერთად, ახალგაზრდობის მსოფლიო დღისთვის დაამზადა. საერთო ჯამში პორტუგალიის სამი ციხის პატიმრებმა ახალგაზრდობის მსოფლიო დღისთვის 150 სააღმსარებლო დაამზადეს. ინიციატივა, რომელიც ახალგაზრდობის მსოფლიო დღის ფონდს და პორტუგალიის პენიტენციური სამსახურის სამმართველოს ეკუთვნის, მიზნად პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციას ისახავს. „ადამიანებს, რომლებიც ციხის სინამდვილეს არ იცნობენ, ჰგონიათ, რომ აქ ყველაფერი ცუდაა. ასე სულაც არ არის. პატიმრები ხშირად უნარიანი, კომპეტენტური ადამიანები არიან. ამიტომ აქ კარგი ამბებიც ხდება. ამას მოცემული ინიციატივის წარმატებაც ადასტურებს“, - აღნიშნა პასუშ-დეფერეირას ციხის დირექტორმა, ხოსე ანტონიუ და სილვეირამ.

მსოფლიო დღე 2023

1-6 აგვისტოს ლისაბონში ახალგაზრდობის მსოფლიო დღე გაიმართა. „ეს დღე მონვევაა, მონოდებაა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდებისთვის, რათა შეიცნონ უფალი, - განაცხადა ამდ-ს ფონდის ახალმა პრეზიდენტმა, ლისაბონის დამხმარე ეპისკოპოსმა, კარდინალმა ამერიკო აგიარმა, - ჩვენ არ გვსურს ახალგაზრდების მოხმობა ქრისტესკენ, ან კათოლიკე ეკლესიაში. ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზრდა კათოლიკემ, მუსლიმმა, იუდეველმა ან სხვა რელიგიის აღმსარებელმა თამამად დაამონმოს, თუ ვინ არის იგი; რომ ყოველმა მათგანმა თამამად თქვას: „მე სხვაგვარად ვფიქრობ, მე სხვაგვარად ვგრძნობ, მაგრამ ჩვენ, ყველანი, ძმები ვართ, მხარდამხარ ვდგავართ და ერთობლივ მომავალს ვაშენებთ“.

ციხიდან ქრისტეს რწმენისკენ

პორტუგალიელ პედრო სილვას ორმოცდაათი წელი მკაცრი რეჟიმის ციხის საკანში შეუსრულდა. იმ დღეს მან თავის განვლილ ცხოვრებას თვალი მოავლო და დაინახა ის ნიშნები, რომ-



ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი მერიამ დააჯილდოვა

მამა გაბრიელე ბრაგანტინის ქუთაისის საპატიო და ღვანღმოსილი მოქალაქის სტატუსი მიენიჭა და სიმბოლური სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდა.

დაჯილდოების ცერემონია გაიმართა 6 ივლისს ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში. ქალაქის მერმა იოსებ ხახალაიშვილმა, პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა ლომინაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შენგელიამ მედლები გადასცეს საპატიო და ღვანღმოსილი მოქალაქეებს.

„ქუთაისში ყოველწლიურად ვირჩევთ რამდენიმე ადამიანს, რომლებსაც საპატიო და ღვანღმოსილი ქუთაისელის წოდებას ვანიჭებთ. დღეს სწორედ ამ ადამიანებს შევხვდით და სიმბოლური სამკერდე ნიშნები გადავეცით. დიდია თითოეული მათგანის დამსახურება მშობლიური ქალაქისადმი და ქუთაისიც სათანადო პატივს მიაგებს მათ. წელს ეს ჯილდო ჩვენს უცხოელ მეგობრებსაც გადავეცით. მინდა, მადლობა ვუთხრა ქუთაისის საპატიო და

ღვანღმოსილი მოქალაქეებს, რომ ისინი დღესაც ჩვენი ქალაქის სამსახურში არიან!“, - აღნიშნა მერმა იოსებ ხახალაიშვილმა.

ღვანღმოსილი საპატიო მოქალაქეებს მადლობა გადაუხადა მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა ლომინაძემაც: „მინდა, მივულოცო თითოეულ მათგანს და კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო განუელი შრომისათვის. მჯერა, რომ კიდევ დიდხანს იქნებით მშობლიური ქალაქისა და თანაქალაქელების სამსახურში“.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი საქართველოში 1994 წლის 11 სექტემბერს ჩამოვიდა. იგი უკვე 28 წელია ქუთაისის სამრევლოში მსახურებს. მისთვის ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება მისივე მღვდლად კურთხევის 42-ე წლისთავს დაემთხვა. მამა გაბრიელე მღვდლად 1981 წლის 3 მაისს ეკურთხა. ამჟამად იგი ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი, ეპისკოპოსის ვიკარიუსი და დასავლეთის სამრევლოების დეკანი.



ბიბლიური დღეები წეროვანში

კათოლიკე ეკლესიამ საქართველოში და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა 22-25 ივნისს წეროვანში ჩაატარეს ბიბლიური დღეები მამა პიერ დიუმულენთან ერთად. ლექციები წაიკითხა მამა პიერ დიუმულენმა, რომელიც არის ავტორი შესანიშნავი წიგნისა „იოანეს სახარება, გამოცხადება, ეპისტოლეები, კომენტარი“. აღნიშნულ ღონისძიებას ხელმძღვანელობდა და თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა ლექტორი ალექსანდრა მარგველაშვილი. მთავარი თემა გახლდათ იოანეს სახარების პირველი ნაწილი - ე.წ. „ნიშანთა წიგნი“. სულიერი შეხვედრების სახლში შეიკრიბა ოცდაათამდე მონაწილე: „საბაუნის“ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, კათოლი-

კურ საკრებულოთა წევრები, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები. სამდღიანი ფორმატის ფარგლებში, მამა პიერ დიუმულენი დღეში ორჯერ კითხულობდა ლექციას იოანეს სახარების გარშემო. გარდა ლექციისა, დღის განრიგი მოიცავდა დუმილისა და მედიტაციის საათებს, ჯგუფებში მუშაობას (სულ ხუთი ჯგუფი) თემის გარშემო, რაც გულისხმობდა მონაწილეთა ჩართულობას მსჯელობაში იოანეს სახარების მთავარ თემებზე და, აქედან გამომდინარე, პასუხის ძიებაში ზოგად ფილოსოფიურ-თეოლოგიურ კითხვებზედაც. ყველას ჰქონდა შესაძლებლობა, მოეთხრო საკუთარი სულიერი გამოცდილების შესახებ, თუ როგორ არის თითოეული მათგანი დაკავშირებული სახარებასთან ან სხვა ბიბლიურ ტექსტთან. მრავალფეროვანი სააზროვნო კითხვებიდან გამომდინარე, მონაწილეთა მხრიდან გაიჟღერა საინტერესო და სიღრმისეულმა პასუხებმა, რამაც ერთგვარ „აზარტში“ ჩააგდო ისინი, ეფიქრათ და ემსჯელათ მეტი თემის გარშემო. შეხვედრების სამდღიანმა ფორმატმა მიაღწია თავის მიზანს და შედგა ლამაზი, ინსპირაციული საღამოები. თუ რა შეუძლია იოანეს სახარების „სიტყვას“, ნათლად წარმოჩინდა მონაწილეებისათვის, გამომდინარე იმ სულიერი ფონიდან, რომელიც მამა პიერის ხელმძღვანელობით თავად შექმნეს იოანეს სახარების გარშემო.

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ბიბლიური კვირეულის თითოეულ მონაწილეს; მომხსენებელს, მამა პიერ დიუმულენსა და ქალბატონ ალექსანდრა მარგველაშვილს, რომელთაც დიდი სამუშაო გასწიეს ღონისძიების სრულფასოვნად ჩატარებისათვის; ასევე, წეროვანის შეხვედრების სახლის მასპინძლებს, რომელთაც იზრუნეს ჩვენს კვებასა და დაბინავებაზე. განსაკუთრებული მადლობა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსა და უნივერსიტეტის რექტორს, მამა აკაკი ჭელიძეს, რომლებიც ერთი დღით გვესტუმრნენ ბიბლიური დღეების ფარგლებში. მნიშვნელოვანია გავიაზროთ მსგავსი შეხვედრების აუცილებლობა, რადგან ის ხელს უწყობს ადამიანში იმ სივრცის გაჩენას, რომელიც რაღაც ახალსა და საინტერესოს აღმოგვაჩენინებს სულიერი თვითშემეცნების გზაზე.



საქართველოში კათოლიკე ეკლესიას კიდევ ერთი ქართველი მღვდელი ეყოლება



2023 წლის 2 სექტემბერს ქართველი კათოლიკე დიაკონი კონსტანტინე აკოფაშვილი მღვდლად ეკურთხება. მან ხელდასხმის თხოვნით კათოლიკე ეკლესიის ადმინისტრატორს, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს აპრილში მიმართა.

„სიხარულით გამცნობთ, რომ მივიღეთ დიაკონ კოტე აკოფაშვილის მღვდლად კურთხევის თხოვნა, რომლის ხელდასხმა მოხდება 2023 წლის 2 სექტემბერს, საკათედრო ტაძარში. მიუხედავად იმისა, რომ მან კიდევ ერთი წელი უნდა დაუთმოს სწავლას, ახლავე ვმადლობთ ღმერთს, რომ მოუხმომ ამ მინის კიდევ ერთ შვილს და ვლოცულობთ მისთვის“, – განაცხადა 2023 წლის 5 აპრილს, მირონის კურთხევის წირვაზე, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ.

კონსტანტინე აკოფაშვილი დიაკვნად ეკურთხა 2022 წლის 4 ივნისს, რაბათში, სავარდის ღვთისმშობლის ტაძარში. მას ხელი დაასხა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსმა, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ. დიაკვნად ხელდასხმის შემდეგ კონსტანტინე კვალიფიკაციის ასამაღლებლად იტალიაში გაემგზავრა და 2022 წლის სექტემბერში, რომში, პაპის სახელობის საღვთისმშობლის ეკლესიაში დაინიშნა.

იტალიაში მისი ცხოვრების ერთი ნაწილი სწავ-

ლას, მეორე კი მსახურებას ეთმობა: „სამრევლოში ვცხოვრობ და როგორც დიაკვანი ისე ვმუშაობ, პარალელურად კი უნივერსიტეტში ვსწავლობ. დილიდან უნივერსიტეტში ვარ, საღამოს კი - სამრევლოში. აქ დღეში ორჯერ აღესრულება წირვა, კვირას კი - ექვსჯერაც. მსურს, მიღებული გამოცდილება ჩემს მომავალ საქმიანობაში ეფექტურად გამოვიყენო“, – ამბობს იგი.

კონსტანტინე აკოფაშვილი ვალეს სამრევლოდან არის. იგი 31 წლისაა, სასულიერო სემინარიაში 17 წლის ასაკში შევიდა, ექვსი წელი სწავლობდა ყაზახეთის სემინარიაში, სხვა ქართველ სემინარისტებთან ერთად. 2016 წელს მან სემინარია მიატოვა. ექვსწლიანი პაუზის შემდეგ კი მოწოდება კვლავ აღმოაჩინა და სასულიერო პირად გახდომის გადაწყვეტილება მიიღო. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში იგი ქუთაისში სტიგმელ მამებთან ცხოვრობდა.

კიდევ ერთი ქართველი კათოლიკე მღვდლის კურთხევამდე ცოტა დრო რჩება. საქართველოში კათოლიკე ეკლესია კი ამ ფაქტის გამო ღმერთს მადლობს და იმედოვნებს, რომ, კონსტანტინეს მსგავსად, კვლავაც გამოჩნდებიან მოწოდებული ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას უფალსა და საქართველოში კათოლიკე ეკლესიას მიუძღვნიან.

დიაკვნები ბათუმში

გასული ივლისის პირველ შაბათ-კვირას ჩვენი ეკლესიის დიაკვნები შეიკრიბნენ ბათუმში, რათა მამა პიერ დიუმულენთან ერთად ლოცვით, მოსმენითა და საუბრით ეკეთებინათ ყოველი ქრისტიანის, განსაკუთრებით კი სასულიერო ხარისხში მყოფ პირთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე - ეზრუნათ სულიერ შინაგან სამყაროზე.

ჩვენს მუდმივ დიაკვნებს წელს ხელდასხმიდან ათი წელი უსრულდებათ და ამგვარი შეხვედრა, რაც სისტემატურად ტარდება ხოლმე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ საიუბილეო წელს. იოანეს სახარება კარგად დაგვეხმარა, გვეფიქრა და გვესაუბრა ქრისტეში გაცხადებული მსახური ღმერთის კვალში მოარული დიაკვნების სულიერებაზე, კიდევ ერთხელ შეგვეხედა ჩვენი ცხოვრებისათვის სახარების შუქზე და დაგვენახა მთელი ის სიკეთე, რასაც უფალი ასრულებს ჩვენში და

ჩვენით, რაც მადლიერებისა და გაკვირვების ამოუნურავი წყაროა მუდამ.

ერთმანეთისთვის სიხარულისა და გამოწვევების გაზიარებამ განახლებული თანაზიარების შესაძლებლობა მოგვცა. ბათუმის „იმედის სახლის“ სხვენში მოწყობილმა „კეთილი მწყემსის“ სამლოცველომ, მამა გაბრიელე ბრატინის ჩვეული კრეატიული შემოქმედების ნაყოფმა, მშვენიერი სალოცავი გარემო შეგვიქმნა. შეხვედრის კულმინაცია კი, რა თქმა უნდა, სამრევლოსთან ერთად აღვლენილი საკვირაო წმიდა წირვა იყო სულიწმიდის ტაძარში. არც ამ წლების განმავლობაში ზეციურ მამულში გადასული თანადიაკვნების, ანტონისა და თენგიზის გახსენება დაგვვიწყებია.

სახლებს დაგუბრუნდით განახლებული შემართებითა და მიღებული ნიჭის გაზიარების სურვილით, რათა ჩვენი საკრებულოები სულ უფრო უკეთ ასხამდნენ ხორცს ღმერთის ნატვრას.



სატაძრო მშენებლობის აღორძინება



ბათუმის სულიწმინდის (ახალი) ტაძარი

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბათუმში ზუბალაშვილების ოჯახის მიერ აიგო და ღვთისმშობლის სახელზე ეკურთხა კავკასიაში მასშტაბით გამორჩეული, გრანდიოზული და არქიტექტურულად მართლაც მშვენიერი ტაძარი, რომელიც უკანასკნელ ათწლეულებამდე ზღვისპირა ქალაქის ყველაზე შთამბეჭდავ ნაგებობას წარმოადგენდა. დღესაც ეს ტაძარი ბათუმის ხუროთმოძღვრულ მშვენიერებას წარმოადგენს. 1937 წელს ღვთისმშობლის ტაძარი დახურეს და ათწლეულების მანძილზე არამიზნობრივად გამოიყენებოდა. თუ რა ვითარება სუფევდა ტაძრის ინტერიერში, ამის თვალსაჩინოდ გამოდგება თ. აბულაძის საქვეყნოდ განთქმული ფილმი „მონანიება“, რომ-

ლის კადრებმაც ასახეს ტაძრის ინტერიერში ათწლეულების მანძილზე არსებული ვითარება 1983 წლის მდგომარეობით.

1988 წელს ბათუმის კათოლიკეებმა მოითხოვეს ტაძრის დაბრუნება, თუმცა მტკიცე და, ამავდროულად, დაუსაბუთებელი უარი მიიღეს. შემდგომ სატაძრო ნაგებობა ვითომ საკონცერტო დარბაზად უნდა გადაკეთებულიყო, მართლაც, სახელმწიფოს მიერ ჩატარდა საფუძვლიანი რესტავრაცია, გამაგრდა ფრესკები, ტაძარში სპეციალურად დამზადებული დასაჯდომი მერხებიც შეიტანეს, შემდგომი ერთი წელი მდგომარეობა გაურკვეველი გახლდათ, სანამ, ყველასთვის მოულოდნელად, სახელმწიფო ხარჯებით აღდგენილი სატაძრო ნაგებობა მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცეს.

სამოციქულო ადმინისტრაციის შექმნისა და ქუთაისში სტიგმელთა მისიის დაფუძნების შემდგომ, ბათუმელი კათოლიკეების სამრევლოსაც ეშველა. მამა გაბრიელე საკრებულოს წინამძღვარი გახდა და, სამოციქულო ადმინისტრატორის მხარდაჭერით, შეძლო ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მიეღო ნებართვა ახალი ტაძრის ასაგებად. 2000 წელს ბათუმის სულიწმინდის ტაძარი საზეიმოდ ეკურთხა, ეს გახლდათ სამოციქულო ადმინისტრაციის დიდი წარმატება, ნიშანი იმისა, რომ, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, საქართველოს კათოლიკეები სრულიადაც არ არიან გარიყულები და წმიდა საყდარი თავისი სამოციქულო მმართველობით ადგილობრივ ეკლესიას მარტო არ ტოვებს.

2000 წელს, ათასწლეულის



მიჯნაზე, თანამედროვე არქიტექტურული ფორმებით აგებული ბათუმის სულიწმიდის ახალი ტაძარი იმთავითვე ქალაქის სახე-სიმბოლოდ იქცა. ბათუმის შესასვლელში, მთავარი ავტომაგისტრალის სიახლოვეს აღმართული ეს ნაგებობა ამაყად ეგებება სტუმრებს, როგორც ქალაქის კათოლიკური მემკვიდრეობის თანამედროვე ნიშანი. იგი გახლავთ ბათუმის ურბანული განახლების ერთ-ერთი პირველი არქიტექტურული ძეგლი. მიუხედავად იმისა, რომ განვილილ ორ ათწლეულში ბათუმის ცენტრში აღიმართა მრავალი ახალი გრანდიოზული ნაგებობა, რომლებიც შავი ზღვის ამ ყველაზე გამორჩეულ ქალაქში ჩამოსული ათასობით სტუმრის ყურადღებას იპყრობენ, სულიწმიდის ტაძარი მაინც რჩება როგორც გარემო სივრცის უცვლელი არქიტექტურული დომინანტი, როგორც ბათუმის უახლესი ეპოქის არქიტექტურული ღირსშესანიშნაობა, როგორც საქართველოს თანამედროვე კათოლიკური ხუროთმოძღვრების საეტაპო ძეგლი...

ბათუმის სულიწმიდის ტაძარი მონუმენტური და, ამავე

დროს, ჰაეროვანი ნაგებობაა, რომელიც მნახველზე სიმსუბუქის, ზეცისკენ სწრაფვის შთაბეჭდილებას ტოვებს. სწორედ ეს ტაძარი გახდა პირველი ძეგლი თანამედროვე საკულტო არქიტექტურისა საქართველოში, რომელიც უბრალოდ კი არ ბაძავს და იმეორებს წარსული ხუროთმოძღვრული შედეგების გარეგნულ ფორმებს, არამედ თანამედროვე არქიტექტურულ იერსახეს ამკვიდრებს. არქიტექტურულ ფორმებთან ერთად, საოცარია ბათუმის ტაძრის ინტერიერი და, განსაკუთრებით, შიდა განათების გადაწყვეტა. ბუნებრივი სინათლით ინტერიერის მაქსიმალური განათება, არქიტექტურის მთავარ ფუნქციურ მოთხოვნას წარმოადგენს. შიდა სივრცის განათების ამ პრობლემის წარმატებულ გადაჭრასთან ერთად, ტაძარში დამხმარე სივრცეების პრობლემაც მაქსიმალურად ეფექტურად არის გადაწყვეტილი. ტაძრის გარეგნული ფორმების ან, უშუალოდ, სატაძრო ინტერიერის ჭვრეტისას, მნახველი ვერ აღიქვამს იმ ვრცელ, დამხმარე სივრცეებს, რომლითაც სინამდ-

ვილეში უხვადაა დატვირთული ეს ნაგებობა. დამხმარე სივრცეები, რომელთა ფუნქციური მნიშვნელობა აუცილებელი კომპონენტია თანამედროვე სატაძრო კომპლექსისათვის, ისე ორგანულად არის განანილებული, რომ ნაგებობის გარეგნულ ფორმებში არ იკვეთებიან. არადა სწორედ ამ დამხმარე სივრცეების არსებობა პოლიფუნქციურობას, ფართო სოციალურ დატვირთვას ანიჭებს ტაძარს. ეს სივრცეები ხელს უწყობენ ტაძრის მრევლისა და მრავალრიცხოვანი სტუმრის სოციო-კულტურულ აქტივობას. ასე რომ, ტაძარს, მისი პირდაპირი ფუნქციის გარდა, ამ საჯარო სივრცის სახით გააჩნია პერსპექტივაც, ჩამოყალიბდეს როგორც ქალაქის საგანმანათლებლო კერა.

ერთი სიტყვით, ბათუმის სულიწმიდის ახალი ტაძარი, რომელსაც ასევე უწოდებენ „ტაძარს, რომელიც ზეცისკენ მიისწრაფვის“, წარმოადგენს საქართველოში წმიდა საყდრის სამოციქულო ადმინისტრაციის თანამედროვე არქიტექტურული



პოლიტიკის ერთ-ერთ საუკეთესო გამოხატულებას.

კახეთის ახალხიზის წმ. ნინოს ტაძარი

მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში სამცხე-ჯავახეთიდან, ძირითადად კი სოფელ ხიზაბავრიდან, სადაც ადგილობრივი კათოლიკე მოსახლეობა მცირემინიანობის გამო მატერიალურ შეჭირვებას განიცდიდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლდა ათეულობით კომლი, მათ შორის, კახეთშიც, სადაც კათოლიკეებმა ოთხი კომპაქტური დასახლება შექმნეს. პირველ წლებში ამ ახალ დასახლებებში მცირე ზომის ხის სამლოცველოები ააგეს და იქ კათოლიკე მღვდელმსახურებიც ეწოდნენ მსახურებას, თუმცა ანტირელიგიური რეჟიმის პირობებში ყველა ეს სამლოცველო განადგურდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კათოლიკე მღვდლები და დედა ტერეზას მონაწილეობის ორდენის დები სისტემატურად სტუმრობდნენ კახეთის კათო-



ლიკეებით დასახლებულ სოფლებს. ამ აქტივობის შედეგად ყალიბდებოდა კათოლიკური სამრევლოები. სამოციქულო ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და ყვარლის რაიონის სოფელ ახალხიზის მორწმუნეების ძალისხმევით, 2000 წელს დასრულდა წმ. ნინოს ტაძრის მშენებლობა და ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ საზეიმოდ აკურთხა კახეთის პირველი კათოლიკური ტაძარი. შემდგომ წლებში სოფელ სანავარდოში შექმნილ და მოწყობილ იქნა სამლოცველო სახლი. ახალხიზის წმ. ნინოს ტაძრის მშენებლობისათვის შემოწირულობაში ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ავგუსტას კათოლიკეებმაც მიიღეს მონაწილეობა. მათი წარმომადგენლები არაერთხელ სტუმრობდნენ ახალხიზას და, ჯორჯიასა და საქართველოს კათოლიკეთა მეგობრობის სიმბოლოდ, ზეთისხილის ნერგებიც დარგეს ტაძრის ეზოში. სამოციქულო ადმინისტრატორიც და მღვდელმსახურებიც არაერთხელ სტუმრობდნენ ავგუსტას. ამგვარად, კახეთში არსებულ ამ მცირე საკრებულოს შორეულ ჯორჯიაში ჰყავს მეგობრები.

უკვე მესამე ათწლეულია,

სისტემატურად, ყოველ კვირადღეს, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის მღვდელმსახურები სტუმრობენ კახეთის კათოლიკურ სამრევლოებს, აღასრულებენ ღვთისმსახურებას და ადგილობრივ მორწმუნეებთან ატარებენ კატეხიზაციას.

გორისა და ბეთლემის სამრევლოები

ქალაქ გორში, მე-17 საუკუნიდან, თეატინელთა ორდენის მამების ძალისხმევით დაარსდა კათოლიკური სამრევლო, რომელსაც თავისი ტაძარიც გააჩნდა. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში თეატინელი მამები კაპუცინთა ორდენის მისიამ ჩაანაცვლა. კაპუცინები მე-19 საუკუნის შუახანამდე რჩებოდნენ გორში, შემდგომ კი ლათინური წესის ეთნიკურად ქართველი მღვდლები აგრძელებდნენ მსახურებას 1937 წლამდე. გორში კათოლიკეები კომპაქტურად სახლობდნენ ე.წ. ფრანგულ უბანში, სწორედ აქ, ქალაქის ციტადელის მიმდებარე ტერიტორიაზე, გორელი კათოლიკეების მიერ მე-19 საუკუნეში იქნა აგებული დიდი და არქიტექ-



საგანგებო ჩანართი

ტურულად გამორჩეული ტაძარი. საბჭოთა ეპოქაში უმოქმედოდ მყოფი კათოლიკური ტაძარი ქალაქის ახალგაზრდებს გადაეცათ, მართალია, სატაძრო ნაგებობა არამიზნობრივად გამოიყენებოდა, მაგრამ ამ გარემოებამ ერთგვარად დადებითი როლიც შეასრულა ნაგებობის დაცვის მხრივ, რადგან ქალაქის ხელისუფლებამის დაცვასა და უსაფრთხოებაზე მიზერულად, მაგრამ მაინც ზრუნავდა. იქ შეკრებილმა ახალგაზრდებმაც კარგად უწყოდნენ, რომ ყოფილ კათოლიკურ ტაძარში იმყოფებოდნენ. გორის კათოლიკეთა სამრევლო, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ტაძარი არ გააჩნდა, არ გამქრალა და ნახევრად ლეგალურად, მაგრამ აგრძელებდა არსებობას. კათოლიკე მღვდელმსახურები შეძლებისდაგვარად სტუმრობდნენ გორს და მორწმუნეთა ოჯახებში ფარულად, მაგრამ მაინც ატარებდნენ მსახურებას.

1988 წელს გორელმა კათოლიკეებმა, მათი რელიგიური გაერთიანების რეგისტრირებისა და სატაძრო ნაგებობის დაბრუნების მოთხოვნით, არაერთხელ მიმართეს ადგილობრივ საქალაქო ხელმძღვანელობას. გორელი კათოლიკეების აქტივობა და მოთხოვნა, იმჟამინდელი კანონმდებლობის ნორმების გათ-

ვალისწინებით, სრულიად ლეგიტიმური გახლდათ, მით უმეტეს, მათ მხარს უჭერდა რელიგიების საქმეთა საბჭოც. თუმცა გორის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, თითქმის ორწლიანი დაპირებების შემდგომ, თავისი სუბიექტური გადაწყვეტილებით, კათოლიკეთა სატაძრო ნაგებობა მართლმადიდებელ მრევლს გადასცა. მიუხედავად ამისა, გორელ კათოლიკეებს იმედი არ გადაუწურავთ, რომ კათოლიკური ეკლესია აღდგებოდა მათ ქალაქში. მართლაც, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კათოლიკე მღვდელმსახურები თბილისიდან სულ უფრო ინტენსიურად სტუმრობდნენ გორისა და გორის რაიონის სოფელ ახალხიზის კათოლიკეებს.

სამოციქულო ადმინისტრაციამ პრიორიტეტად მიიჩნია გორში მუდმივმოქმედი საკრებულოს დაარსება და ამ კუთხით კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა. რადგან ადგილობრივი ხელისუფლება ნებას არ აძლევდა კათოლიკეებს ახალი ტაძრის ასაგებად, სამოციქულო ადმინისტრაციის მიერ კათოლიკეებით კომპაქტურად დასახლებულ უბანში შექმნილ იქნა საცხოვრებელი სახლი და მისი საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ სამლოცველო მოეწყო, რომელიც

შემდგომ წმიდა ოჯახის სახელზე ეკურთხა. სამლოცველოს რეკონსტრუქციაში უდიდესი წვლილი შეიტანა მამა ადამ ოხალმა, რომელიც წლების მანძილზე უშულოდ ხელმძღვანელობდა სამლოცველო კომპლექსის მშენებლობას და თავადაც ფიზიკურად შრომობდა. მამა ადამმა იმგვარად გაანაწილა სამშენებლო სამუშაოები, რომ ყოველკვირეული წირვა-ლოცვა არ შეფერხებულა. გორის პარალელურად, ამოქმედდა სოფელ ახალხიზის სამრევლოც. სხვადასხვა წინააღმდეგობის მიუხედავად, სამოციქულო ადმინისტრაციის ხელშეწყობით მოხერხდა საცხოვრებელი სახლის შექმნა, მისი საფუძვლიანი განახლება-გაფართოება და წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელზე სამლოცველოს კურთხევა, ამავე შენობაში განთავსდა საქველმოქმედო და საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც სოფლის ახალგაზრდობისათვის მრავალი საჭირო პროგრამა განხორციელდა.

2000 წლის 31 დეკემბერს, წმიდა ოჯახის დღესასწაულზე, სამლოცველო მოინახულა და იქ მსახურება ჩაატარა სამხრეთ კავკასიაში წმიდა საყდრის დესპანმა, არქიეპისკოპოსმა პიტერ სტეფან ცურბრიგენმა. სამოციქულო ადმინისტრაციის ზრუნვა გორის საკრებულოს მიმართ შემდეგ წლებშიც არ შენელებულა, აიგო ახალი, უფრო ვრცელი სამლოცველო, გაფართოვდა საქველმოქმედო-ჰუმანიტარული საქმიანობა. სამოციქულო ადმინისტრაციის ძალისხმევით დაძლეულ იქნა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგობა და გორის რაიონის სოფელ ახალხიზაში (ამჟამად ბეთლემი), აგებულ იქნა ახალი სამლოცველო, რომელიც წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელზე ეკურთხა.



გამრძელება, დასახეობა „საბა“ #7(331)

ქენევაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს 75 წლის იუბილე აღინიშნა



1948 წელს დაარსებული ეკლესიათა ეკუმენური (ან მსოფლიო) საბჭო (World Council of Churches/WCC) წელს 75 წლის ხდება. საიუბილეო თარიღი ქენევაში აღინიშნა.


საიუბილეო დღეს სამი საგულისხმო მომენტი გამოიკვეთა. პირველი - ეს იყო კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის ბართოლომეოს I-ის ქადაგება კრების გახსნისას. მან ნათლად ისაუბრა იმაზე, თუ რამხელა ჭრილობა მიადგა მართლმადიდებლური სამყაროს ერთიანობას 2022 წლის თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით. „ღრმა ჭრილობა მიაყენა ამ ცინიკურმა realpolitik-ამ მსოფლიო მართლმადიდებლობას, - თქვა მან, - ყველამ უნდა ილოცოს სრულიად უსარგებლო იმპერიალისტური კამპანიის სწრაფი და სამართლიანი დასასრულისთვის და იმისთვის, რომ შეწყდეს რუსეთში ეკლესიის უაზრო და უგუნური პოლიტიზება“. შემდგომ, ისევ ქალაქ კალვინოში, 25 ივნისის კვირადღე პრაქტიკულად მთლიანად დაეთმო WCC-ის იუბილეს, ჯერ წმიდა პეტრეს საკათედრო ტაძარში აღსრულებული ეკუმენური წირვით, რომელზეც ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტმა, გერმანელმა ლუთერელმა ეპისკოპოსმა ჰაინრიხ ბედფორდ-შტრომმა (Heinrich Bedford-Strohm) დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რაოდენ მკაფიო და ნათელი იყო WCC-ის დამფუძნებელთა 75 წლის წინანდელი მიზნები: მსოფლიოს ეკლესიათა გაერთიანება და ამ ერთიანობის გადაქცევა მშვიდობის მსახურების იარაღად. შეხვედრა დღის მეორე ნახევარში, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შენობაში გაგრძელდა როგორც ცოცხალი, ასევე წარსულის მაგალითებისა და მოწმეობების მოსმენით.

ეკლესიათა ეკუმენური საბჭო 1948 წლის

23 აგვისტოს დაარსდა ამსტერდამში, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან სულ რაღაც სამი წლის შემდეგ. ეკუმენური საბჭო თანამედროვე ეკუმენურ მოძრაობაში ყველაზე დიდი ორგანიზაციაა და ამჟამად 120 ქვეყნის 352 ეკლესიას მოიცავს, ანუ მსოფლიოს ანგლიკანური, მართლმადიდებლური, პროტესტანტული და ძველი კათოლიკური ეკლესიების უმრავლესობას, ხუთას ოთხმოცი მილიონი ქრისტიანის სახით. საბჭო თავის თავს განმარტავს, როგორც „ეკლესიათა ძმურ საკრებულოს, რომელიც აღიარებს უფალ იესო ქრისტეს ღმერთად და მხსნელად, წმიდა წერილის თანახმად, და ცდილობს ერთად უპასუხოს საერთო მოწოდებას ერთი ღმერთის, მამის, ძისა და სულიწმიდის სადიდებლად“. ახალი წლის დადგომასთან ერთად, საბჭოს ახალი გენერალური მდივანი ჰყავს სამხრეთ აფრიკელი პასტორის, ჯერი პილეს (Jerry Pillay) სახით, რომელიც გასულ 23 მარტს ეწვია რომის პაპს ვატიკანში. ასევე, აღსანიშნავია ხორხე მარიო ბერგოლიოს მიერ 2018 წლის 21 ივნისს განხორციელებული ვიზიტი (მანამდე კი მისი წინამორბედების - პავლე VI-ის - 1969 წელს და იოანე პავლე II-ის - 1984 წელს) ქენევაში, ეკუმენური საბჭოს შტაბ-ბინაში.

ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ, მართალია, რომის კათოლიკე ეკლესია არ არის WCC-ის წევრი, ამ ორ ორგანიზმს შორის კავშირები შესანიშნავია და ქმედითი თანამშრომლობით გამოირჩევა, ამას მოწმობს კიდევ 1965 წელს შექმნილი ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, ასევე საღვთისმეტყველო კომისიაში „რწმენა და კონსტიტუცია“ რომის ეკლესიის სრულყოფილებიანი დელეგატების მონაწილეობა, აქტიური ჩართულობა მისიონერულ და ევანგელიზაციურ საქმიანობაში.

ნეტარი სტენლი ფრენსის როტერი - მწყემსი, რომელიც საფრთხეს არ ბაიძსა



ამერიკელი კათოლიკე მღვდელი და მისიონერი სტენლი ფრენსის როტერი (Stanley Francis Rother) დაიბადა 1935 წლის 27 მარტს ოკლაჰომას შტატის ქალაქ ოკარჩეში. ორი დღის შემდეგ იგი მონათლეს ამავე ქალაქში მდებარე წმიდა სამების ეკლესიაში. სტენლის ოჯახს ქალაქთან ახლოს ჰქონდა ფერმა, სადაც ბავშვობიდანვე ძლიერი და ჯანმრთელი სტენლი, ძმებთან და დებთან ერთად, ეხმარებოდა მშობლებს. იგი კარგად უძღვებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. სკოლის დამთავრების შემდეგ მან გადაწყვიტა გამხდარიყო მღვდელი და მშოლებმაც მოუწონეს არჩევანი.

სტენლი სწავლობდა ჯერ წმიდა იოანეს, შემდეგ კი მარიამის ზეცად აღყვანების სემინარიაში, სან ანტონიოში, ტეხასის შტატში. მასწავლებლები მიიჩნევდნენ, რომ მას სწავლის უნარი არ ჰქონდა, განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა მისთვის ლათინური. ამიტომ, სემინარიაში გატარებული თითქმის ექვსი წლის შემდეგ, ის დაითხოვეს. მაგრამ მღვდლობის სურვილი დიდი იყო, ამიტომ სტენლიმ მიმართა თავის ეპისკოპოსს, ვიქტორ რიდს (Victor Reed), რომელმაც იგი გაგზავნა ემიტსბურგის სემინარიაში - წმიდა მარიამის მთა, რომელიც მდებარეობდა მერილენდის შტატში.

სტენლი გულმოდგინედ სწავლობდა, მან 1963 წელს წარმატებით დაამთავრა სემინარია და იმავე წლის მაისში, 28 წლის ასაკში, ხელდასხმულ იქნა მღვდლად ეპისკოპოს რიდის მიერ. პირველი წირვა სტენლიმ ალაველინა ოკარჩეს წმიდა სამების ტაძარში, სადაც იგი მოინათლა. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მსახურობდა ოკლაჰომას შტატის სხვადასხვა სამრევლოში ვიკარიუსად.

1968 წელს მამა სტენლიმ შეიტყო, რომ გვატემალაში ესაჭიროებოდათ მისიონერი მღვდელი, რათა ემსახურა ადგილობრივ ინდიელთა ცუტუჰილის ტომისთვის, სანტიაგო ატიტლანში, სამხრეთ-დასავლეთ გვატემალის მთებში მდებარე სოფელში. ამისთვის სტენლის უნდა შეესწავლა არა მხოლოდ ესპანური, არამედ მკვიდრ ინდიელთა ზეპირი ენა ცუტუჰილი, რომელსაც დამწერლობა არ გააჩნდა, მხოლოდ სხვა მისიონერთა მიერ ჩანერილი იყო რამდენიმე კონსპექტი სიტყვათა ჟღერადობისა. სტენლიმ, რომელსაც ლათინური უჭირდა, გამოავლინა ლინგვისტური ნიჭი: მან შესანიშნავად ისწავლა ეს ენა. „ახლა შემიძლია ცუტუჰილზე ქადაგება“, - სიამაყით აღნიშნავდა იგი 1973 წელს. უფრო მეტიც, მან თავად ასწავლა წერა-კითხვა ინდიელებს მათსავე მშობლიურ ენაზე, ხოლო საგანმანათლებლო საქმიანობის გასაფართოებლად თავის საკრებულოში მოაწყო რადიოსადგური, სადაც გადაიცემოდა ცუტუჰილის, ესპანურისა და არითმეტიკის გაკვეთილები. გარდა სამწყსო მოღვაწეობისა, მამა სტენლიმ თარგმნა მესალე და ახალი აღთქმა ცუტუჰილზე და ამავე ენაზე ალაველენდა წირვას. ვინაიდან არ არსებობდა ცუტუჰილური ეკვივალენტი სახელისთვის „სტენლი“, ხალხმა მას სიყვარულით უწოდა „პადრე აპლა“.

მამა სტენლის, ასევე, არ დავინწყებია, რომ ფერმერი იყო: იგი ადგილობრივ მოსახლეობას უჩვენებდა, როგორ დაემუშავებინათ მიწა უკეთესად, ან როგორ მოპყრობოდნენ პირუტყვს. ზოგჯერ იგი მთელ დღეს ატარებდა ბუდოზერის საჭესთან, ასუფთავებდა მრევლის ყანებს და სამუშაოს წყვეტდა მხოლოდ წირვის აღსავლენად. ასევე, მამა სტენლიმ პანაბიში ააშენა პატარა ჰოსპიტალი - l'Hospitalito, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო დახმარებაზე ხელი არ მიუწვდებოდა. როცა ჰოსპიტალი ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობას, მას თავად მიჰყავდა ავადმყოფები დედაქალაქში.

მამა სტენლი ყველაფერს აკეთებდა უსამართლოდ დაჩაგრული ინდიელების დასაცავად, რამაც

გამოიწვია ხელისუფლების ძლიერი მტრობა მის-
დამი. არადემოკრატიულ გვატემალაში მუდამ
იცვლებოდნენ დიქტატორები. 1980-იანი წლების
დასაწყისში, გარდა მშვიდობიანი მოსახლეობისა,
რეპრესიები დაიწყო მღვდლებისა და ბერ-მონა-
ზონთა წინააღმდეგაც. დეკემბერში მამა სტენლიმ
ოკლაჰომას მორწმუნეებს მისწერა წერილი, სადაც
აღწერილი იყო გვატემალაში მიმდინარე სასტიკი
მოვლენები: „ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გა-
მოც მე აქ ვრჩები. მწყემსი ვერ გაიქცევა საფრთხ-
ის პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე“.

1981 წლის დასაწყისში მამა სტენლი გააფ-
რთხილეს, რომ ის „დასახვრეტა სიაში“ იყო და
ცოცხალი რომ დარჩენილიყო, სასწრაფოდ უნდა
დაეტოვებინა გვატემალა. როტერი უხალისოდ და-
ბრუნდა ოკლაჰომაში, იქ სამ თვეს დარჩა, მაგრამ
გული არ უდგებოდა, უნდოდა ახლოს ყოფილიყო
თავისი მრევლის წევრებთან, რომლებიც ასევე
იდევნებოდნენ. მის სამრევლოში რადიოსადგური
განადგურეს, მოკლეს მისი მთავარი რედაქტო-
რი. გაუჩინარდა ზოგიერთი კატეხისტი და მრევ-
ლის წევრი, რომლებიც მოგვიანებით მოკლული
იპოვეს, მათ გვამებს ცემისა და წამების ნიშნები
ეტყობოდა; ბევრიც მიძვლად აიყვანეს. მიუხედა-
ვად ყველაფრისა, მამა სტენლიმ გადანწყვიტა, საა-
ღდგომოდ დაბრუნებულიყო სანტიაგო ატიტლან-
ში, რათა გაეგრძელებინა თავისი მისია, რამეთუ
„მწყემსს არ ძალუძს გაქცევა“. იგი მზად იყო, სი-
ცოცხლე გაენირა თავისი ხალხისათვის.

1981 წლის 28 ივლისს, გამთენიისას, შეიარაღე-
ბული პირები შეიჭრნენ მამა სტენლის საძინებ-
ელში, გამოათრიეს ეკლესიის ეზოში, სადაც ის
მსახურებდა და დახვრიტეს. მისი დალილავებული
სხეული მეტყველებდა, რომ სიკვდილის წინ იგი
სასტიკად სცემეს. იმავე დღეს კიდევ
ცამეტი ადამიანი იქნა მოკლული და
ოცდაოთხი დაჭრილი. სამი გვატე-
მალელი დააკავეს და მათ აღიარეს
კიდევ მღვდლის მკვლელობა, მაგრამ
აშკარა იყო, რომ ისინი არ იყვნენ
მკვლელები. გვატემალის მთავრობამ
შეერთებულ შტატებს გამოუცხადა,
რომ დამნაშავე თავად მამა სტენლი
ფრენსისია, უდანაშაულო დაკავებ-
ულები გაათავისუფლეს, მაგრამ დამ-
ნაშავეების ძებნას არ შეუდგნენ.

როტერი იმ წელს გვატემალაში
მოკლული ათი მღვდლიდან ერთ-
ერთი იყო. მისი ნეშტი გადაასვენეს
ოკლაჰომაში და დაკრძალეს წმიდა
სამების სასაფლაოზე მის მშობ-
ლიურ ქალაქში. ცუტუჰილის ტომის

ინდიელთა თხოვნით, მამა როტერის გული დაას-
ვენეს სანტიაგო ატიტლანის ეკლესიაში, საკურთხ-
ევის ქვეშ, სადაც ის ასე ერთგულად ასრულებდა
თავის სამღვდლო მსახურებას. სანამ გვატემალა-
ში მოკლულ სამოცდათვრამეტ წამებულს შორის
მონამედ აღიარებდნენ მამა სტენლი ფრენსის
როტერს (2016 წლის 1 დეკემბერი), რელიკვარი-
უმი, სადაც მისი გული იყო დასვენებული, გახ-
სნეს და აღმოჩნდა, რომ სისხლი ჯერ კიდევ არ
იყო შედედებული, ერთგული მწყემსის გულს ჯერ
კიდევ სისხლი სდიოდა...

2017 წლის 23 სექტემბერს მამა სტენლი ფრენ-
სის როტერი ნეტარად იქნა შერაცხილი პაპ ფრან-
ცისკეს მიერ. ის არის პირველი ამერიკელი მღვდე-
ლი, რომელიც ნეტარად შერაცხეს. ბეატიფიკაციის
წირვას ოკლაჰომა სიტის ცენტრში ოცი ათასზე
მეტი ადამიანი ესწრებოდა მთელი მსოფლიოდან.
კარდინალმა ანჯელო ამატომ, წმიდანთა საქმე-
ბის კონგრეგაციის პრეფექტმა, თავის ქადაგებაში
აღნიშნა: „მამა როტერი, რომელიც აცნობიერებ-
და, რომ მის სიცოცხლეს გარდაუვალი საფრთხე
ემუქრებოდა, მოემზადა მონამებრივი სიკვდილ-
ისათვის და სთხოვდა უფალს ძალას, რომ უშიშ-
რად შეგებებოდა მას. მიუხედავად ყველაფრისა,
ის განაგრძობდა სიყვარულისა და არაძალადობის
სახარების ქადაგებას... მისი სისხლი, შეერთებული
იესოს უძვირფასეს სისხლთან, განწმედს და ისხნის
მის მტრებსაც კი, რომლებიც ასევე უყვართ და
რომლებსაც მიუტევენ“.

ოკარჩეს სამების ტაძარში დგას ნეტარი სტენლი
როტერის ხის მოხატული ქანდაკება სამღვდლო
შესამოსელში. მოედანზე კი არის ქვა, რომელზე-
დაც გამოსახულია მამა სტენლი, ხელს რომ უწე-
დის გვატემალელ ბავშვს.



იოანე პავლე II-ისა და ბენედიქტე XVI-ის სულთმოფენობის დოქტრინა



თქვენთან, თუ წავალ, მე მოგივლენთ“ (იოან. 16, 7). აღდგომის კვირას იესომ პირველად თავისი დანაპირები შეასრულა, როდესაც თერთმეტს შეუბერა და თქვა: „მიიღეთ სულიწმიდა“ (იოან. 20, 22). ხოლო ორმოცდაათი დღის შემდეგ საბოლოოდ გაცხადდა ის, რაც მოხდა აღდგომის კვირას (DV, 25). მოციქულთა საქმეების 2, 1-4-ში აღწერილი მოვლენები გვაძლევს საშუალებას დავინახოთ სულიწმიდის იდენტობის მნიშვნელოვანი თვისებები.

სულთმოფენობის კვირას ყოველთვის იკითხება მონაკვეთი მოციქულთა საქმეების წიგნიდან იმის შესახებ, თუ რა მოხდა იერუსალიმში სულთმოფენობის დღეს (საქმე 2, 1-41). ასევე იკითხება ნაწყვეტები პავლე მოციქულის წერილებიდან და იოანეს სახარებიდან, რაც გვეხმარება იმ დროს განვითარებული მოვლენების უკეთ გააზრებაში. დღეს გავიხსენებთ იოანე პავლე II-ისა და ბენედიქტე XVI-ის გამონათქვამებს და ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინეს მათზე თანამედროვე ეკლესიისათვის აქტუალური პრობლემებისა და საკითხების კონტექსტში ჩვენთვის უკვე ნაცნობმა ტექსტებმა.

1998 წლის 17 ივნისს თავის კატეხიზმომში იოანე პავლე II იყენებს ტექსტების ფართო სპექტრს, რათა ზოგად აუდიენციაზე განმარტოს სულიწმიდის ორი გზავნილის შინაარსი. პირველს ადგილი ჰქონდა აღდგომის კვირას, მეორეს კი - სულთმოფენობის დღეს. წმიდა წერილის კათოლიკური ინტერპრეტაციის პრინციპების შესაბამისად, პაპი აანალიზებს მოციქულთა საქმეების ტექსტს მთელი ბიბლიის კონტექსტში და მიუთითებს ეკლესიის ცოცხალ ტრადიციაზე, ასევე, საკუთარ ენციკლიკაზე *Dominum et Vivificantem* (უფალი და ცხოველმყოფელი). ამის მეშვეობით მსმენელს ეძლევა საშუალება აღმოაჩინოს სულთმოფენობის ნამდვილი მნიშვნელობა მოციქულთა საქმეების მთლიანი ტექსტისა და ხსნის კონტექსტში. პირველ რიგში, პაპი ამტკიცებს, რომ იესოს მიერ დადებული პირობა ორჯერ სრულდება. უკანასკნელი სერობისას ის უცხადებს მოციქულებს: „ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ: თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე, რადგან თუ არ წავედი, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა

შემდეგ იოანე პავლე II ასახავს სულთმოფენობას იერუსალიმში, როგორც ახალ სინაის, თავად სულიწმიდას, როგორც ახალ აღთქმას და ასევე ახალ რჯულს ღვთის ახალი ხალხისთვის. თავის ამ დასკვნას ის შემდეგით ასაბუთებს: წმ. ლუკა მახარებელი აღწერს სულთმოფენობის მოვლენას, როგორც ღვთის გამოცხადებას, რომელიც სინაის მთაზე გამოცხადების მსგავსია (Wj 19, 16-25): დიდი ხმაური, ძლიერი გრგვინვა, ალის ენები. გზავნილი ნათელია: სულთმოფენობა არის ახალი სინაი, სულიწმიდა კი ახალი აღთქმა, ახალი რჯულის ძღვენი. ამ კავშირს ძალიან საინტერესოდ აღწერს ნეტარი ავგუსტინე: „ძმანო, ეს არის დიდი და საოცარი საიდუმლო: მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ორმოცდაათობის დღეს ებრაელებმა მიიღეს ღვთის ხელით დაწერილი რჯული და ზუსტად სულთმოფენობის იმავე დღეს გარდმოვიდა სულიწმიდა“ (Ser. Mai 158, 4). მეორე მხრივ, ერთ-ერთი აღმოსავლელი მამა, სევერიან გაბალელი შენიშნავს: „მიზანშეწონილი იყო, რომ იმავე დღეს, როცა ძველი რჯული მიეცათ, სულიწმიდის მადლიც მიეღოთ“ (Cat. in Act. Apost. 2, 1).

სულიწმიდის გადმოსვლასთან დაკავშირებული როგორც ახალი რჯული, ისე ახალი აღთქმაც, წინასწარ იყო გამოცხადებული წინასწარმეტყველთა მიერ, ამიტომაც პაპი შემდგომში წერს: ამრიგად სრულდება მამებისადმი მიცემული აღთქმა. წინასწარმეტყველ იერემიასთან ვკითხულობთ: „ეს არის აღთქმა, რომელსაც დავუდებ ისრაელის სახლს იმ დღეების შემდეგ“, - სიტყვა უფალისა, - მივცემ მათ ჩემს რჯულს და მათ გულებზე დავანერამას“ (31, 33). ხოლო ებუკიელ წინასწარმეტყველი წერს: „მოგცემთ თქვენ ახალ გულს და ახალ სულს

ჩავდებ თქვენში; ამოგარიდებთ ქვის გულს თქვენი ხორციდან და მოგცემთ ხორცის გულს. ჩემს სულს ჩავდებ თქვენში და გავაკეთებ ისე, რომ ჩემი წესებით ივლით და ჩემს სამართალს დაიცავთ და შეასრულებთ“ (36, 26-27).

შემდეგ პაპი ახალი რჯულის დაწესების შედეგებზე მიუთითებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ თავად სულიწმიდა არის ახალი აღთქმა. ის ასევე სპობს ცოდვას და გვაძლევს სიყვარულს, რომელიც ახალი რჯულის სისავსეს წარმოადგენს. ამას პაპი უკავშირებს ახალი აღთქმის დადების გზას და ამბობს: როგორ ადგენს სულიწმიდა ახალ და მარადიულ აღთქმას? ცოდვის მოსპობითა და ადამიანის გულში ღვთის სიყვარულის ჩანერგვით: „რადგან სი-ცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან“ (რომ. 8, 2). მოსეს რჯული ვალდებულებებს გვაკისრებდა, მაგრამ ადამიანის გულის გარდაქმნა არ შეეძლო. ამისთვის საჭირო იყო ახალი გული და ზუსტად ასეთ გულს გვთავაზობს ღმერთი იესოს გამოსყიდვითი მსხვერპლის მეშვეობით. მამა გვართმევს ქვის გულებს და გვაძლევს ქრისტეს გულის მსგავს, ხორციელ გულებს, რომელსაც სულიწმიდა აცოცხლებს, რომლის წყალობითაც შეგვიძლია ვიმოქმედოთ სიყვარულით (რომ. 5, 5). ამ ძღვენის ნიადაგზე იდება ახალი აღთქმა ღმერთსა და კაცობრიობას შორის. წმ. თომა სწორედამი მიიჩნევდა, რომ თავად სულიწმიდა არის ახალი აღთქმა, რადგან ინვეს ჩვენში სიყვარულს, რომელიც რჯულის სისავსეს წარმოადგენს (Comment. in 2 Cor 3, 6).

შემდეგ პაპი მიუთითებს სულიწმიდის წვლილზე ეკლესიის დაბადებაში: სულთმოფენობის დღეს გადმოდის სულიწმიდა და იბადება ეკლესია. ეკლესია წარმოადგენს საკრებულოს იმ ადამიანთა, რომლებიც ხელახლა დაიბადნენ წყლისა და სულისაგან (იხ. იოან. 3, 3, 5)... ქრისტიანთა საკრებულო არ წარმოადგენს მორწმუნეთა თავისუფალი არჩევანის ნაყოფს; მის საწყისებთან, უწინარეს ყოვლისა, ხარობს ღვთის გულმონყალების უანგარო ინიციატივა, რომლისგანაც სულიწმიდის ძღვენს ვეზიარებით. სიყვარულის ამ ძღვენის რწმენით მიღება წარმოადგენს „პასუხს“ მადლზე და თავადაც არის მადლი. ამიტომაც არსებობს ღრმა და უწყვეტი კავშირი სულიწმიდასა და ეკლესიას შორის. ასე საუბრობს ამაზე წმ. ირენეოსი: „იქ,




სადაც არის ეკლესია, არის ღვთის სულიც; ხოლო სადაც უფლის სულია, იქ ეკლესია და ყოველგვარი მადლია“ (Adv. Haer., 3, 24, 1). ამრიგად, ახლა შეგვიძლია გავიგოთ ნეტარი ავგუსტინეს გაბედული ნათქვამი: „ადამიანს იმ დონეზე აქვს სულიწმიდა, რა დონეზეც უყვარს ეკლესია“ (In Io., 32, 8).

მოციქულთა საქმეებში ხალხთა მოცემული სიის საფუძველზე, იოანე-პავლე II ასკვნის, რომ საყოველთაო ეკლესია დაიბადა უკვე იერუსალიმში, არგუმენტად მას იოანე ოქროპირის მიერ ამგვარად ინტერპრეტირებული ტექსტი მოაქვს: სულთმოფენობის აღწერაში ხაზგასმულია, რომ ეკლესია იბადება როგორც საყოველთაო: ზუსტად ამაზე მიგვანიშნებს იმ ხალხთა ჩამონათვალი, რომლებიც პეტრეს პირველ სიტყვას უსმენდნენ - პართიელები, მიდიელები, ელამელები... (საქმე 2, 9-11). სულიწმიდა გადმოდის ყველა რასისა თუ ეროვნების ადამიანზე და განასახიერებს მათში ქრისტეს მისტიკური სხეულის ახალ ერთობას. წმიდა იოანე ოქროპირი სულიწმიდის მიერ შექმნილ ამ ერთობას გვიჩვენებს კონკრეტული მაგალითით: „რომის ყველა მაცხოვრებელმა იცის, რომ ინდოეთის მკვიდრნი მისი თანამოძმეები არიან“ (Io., 65, 1; PG 59, 361). ოქროპირის სიტყვებს შეგვიძლია ისიც დავუმატოთ, რომ გეოგრაფები (კენევიჩი) ხსენებულ ინდოეთს იემენტან აგივიებენ, რომელსაც უწოდებდნენ India Citerior, რაც ასევე იმაზე მიგვანიშნებს, რომ იმ დროსაც მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეებში მდებარე ეკლესიებს შორის ერთიანობის გრძნობა არსებობდა არანაკლებ, ვიდრე ის, რომელიც დღევანდელ ინდოეთში მდებარე ეკლესიასთან გვაკავშირებს.

გამზრძელებს იქნება

რა მოვიმოქმედოთ?!

ქრისტიანები და მოსეს ხუთნიგნეული (ზირ. 15,15-20; მათ. 5,17-19)



მამა გეორგ ბრაულიკი OSB,
კათოლიკე თეოლოგი, ვენის
უნივერსიტეტის ძველი აღთქმის
ემერიტული პროფესორი

შემოგთავაზებთ მის მოკლე მიმოხილვას, ანუ იმას, თუ როგორ ხდებოდა ამ ყოველივეს განხორციელება პრაქტიკულად.

თორა (მოსეს ხუთნიგნეული) გვიჩვენებს იმას, თუ როგორი უნდა იყოს სამართლიანი საზოგადოება. თუ საკითხი ერის, საზოგადოებისა თუ ეკლესიის სახით ღმერთის სიყვარულს ეხება, მაშინ საქმე თორას სწავლებასთან გვაქვს. ღმერთის სიყვარული აირეკლება ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითისთვის, გიყვარდეს ღმერთი - ნიშნავს იცოდე, თუ რა სჭირდება შენ გვერდით მდგომ ადამიანს: საბანი, რათა ცივ ღამეში გათბობა შეძლოს, თუ ხელფასი, რომელიც თავის დროზე უნდა მიიღოს და არა, თუნდაც, ერთი დღის დაგვიანებით. თორა გვასწავლის იმას, რასაც ჩვენ მგრძობელობას, ხოლო ბიბლია სამართლიანობას უწოდებს. ეს ის სამართლიანობაა, რომელსაც საზოგადოების გარდაქმნა შეუძლია. ადამიანთა შორის არსებული სამართლიანი ურთიერთობა წარმოშობს დამძმურ საზოგადოებას. შესაბამისად ყალიბდება ოჯახის წევრებს შორის არსებული ურთიერთობის მსგავსი ურთიერთობა და მოსაწონია მხოლოდ ოჯახის შესაფერისი საქციელი.

დამძმური ურთიერთობების ჩამოყალიბება კი, თავის მხრივ, ახალ ეკონომიკურ წესრიგს წარმოშობს. საუბარია ისეთ ეკონომიკურ წყობაზე, სადაც ღარიბი აღარ იარსებებს. როგორც მოსეს ხუთნიგნეული ამბობს, ასეთი მომავლის შექმნაზე პასუხისმგებლობა აკისრია ერს, ანუ ჩვენ. ახალი სოციალურ-ეკონომიკური წყობა შედეგად ეკოლოგიურ ცვლილებებსაც გამოიწვევს, ანუ აღარ მოხდება მიწის რესურსების ბოროტად გამოყენება. შედეგად, მრავლად გვექნება მარცვლეული, ბადაგი, ზეთი და აღარც ძროხათა და ცხვართა სიმცირე იქნება, ყოველივე ეს კი მოსახლეობას უშფოთველი ცხოვრების საშუალებას მისცემს. ცხადია, ეს ყველაფერი ადამიანთა ჯანმრთელობაზეც აისახება. მოსეს ხუთნიგნეულში აღწერილი საზოგადოებრივი წესრიგის ხორცშესხმა სასარგებლოდ წაადგება ამ საზოგადოების წევრების ფიზიკურ მდგომარეობას, შედეგად, აღარ იარსებებს მძიმე დაავადებები. მაშინ შეძლებს ერი თავისი ცხოვრების ზენიტში სინმინდის გარშემო შემოკრებას, იზეიმებს, გულით გაიხარებს და იგემებს ღმერთთან მისტიურ კავშირს.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, ალბათ, იტყვიან თქვენ: ეს ხომ ისრაელის ხუთნიგნეულია, ეს მოსეს რჯულია, ჩვენ კი

ქრისტიანები ვართ და არა იუდეველები. შესაბამისად, ჩვენს მთავარ შეკითხვაზე, თუ რა მოვიმოქმედოთ, რატომ უნდა ვეძიოთ პასუხი ისრაელის რჯულში? არადა, როგორც იესო ამბობს, სწორედაც რომ მოსეს რჯულში უნდა ვეძიოთ პასუხი: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვიდრე ცა და მიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება. ამრიგად, ვინც დაარღვევს ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ისე ასწავლის ადამიანებს, უმცირესი დაერქმევა მას ცათა სასუფეველში, ხოლო ვინც ასრულებს და ასწავლის, მას დიდი დაერქმევა ცათა სასუფეველში“ (მათ. 5,18-19). ე. ი. იქამდე, ვიდრე ცა და მიწა არსებობს, ეკლესიას არა აქვს უფლება, გააუქმოს თორა. თუ ვინმე თუნდაც მის მხოლოდ მცირე ნაწილს არად ჩათვლის, მოუწევს ღმერთის სრულქმნილ სასუფეველში მცირედს დასჯერდეს.

მიუხედავად ამ განცხადების სწორზოვნებისა, საინტერესოა, რომ თავად იესო არ ითვალისწინებს ამ განაცხადს ზედმინეწით. გავიხსენოთ, მაგალითად, ის ფაქტი, რომ იესო არ იცავდა რიგ რიტუალურ წესებს. ეკლესიამაც უარი თქვა ძველ-აღთქმისეული კანონიდან მათ გადმოღებაზე. თუმცა ამით ნამდვილად არ მომხდარა მოსეს ხუთნიგნეულის გაუქმება. არამედ მოხდა მისდამი მიდგომის შეცვლა. ფაქტობრივად, მოხდა იესოს გზავნილისა და მისი ცხოვრების შუქზე მოსეს რჯულის ხელახალი განმარტება. ეს დღესაც საჭიროა, უნდა გრძელდებოდეს მისი ხელახალი გააზრება. ამის ძალიან კარგ მაგალითს იესო თავად გვაძლევს.

მთაზე ქადაგებისას იესო გვთავაზობს სინაის მთაზე გამოცხადებული რჯულისა და სოციალური წყობის (რომლის შესრულების ვალდებულება აქვს აგრეთვე ქრისტეს ეკლესიას) ხელახალი განმარტებისათვის საჭირო მთავარ პრინციპებს. მაგალითად, იგი ამბობს, რომ მხოლოდ საკუთარი გულის სინმინდე საკმარისი არ არის. საჭიროა ადამიანთა შორის ურთიერთობებში სინრფელის შეტანა. საუბარია იმ კავშირებზე, რომელსაც ჩვენ ჩვენი ცხოვრების მანძილზე სხვა ადამიანებთან ვამყარებთ, ასევე, საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურებსა და ინსტიტუტებზე. საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ის ფორმა, რომელთანაც ადამიანს ყოველდღიურად უწევს შეხება, საჭიროა იყოს წრფელი და წმინდა. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსეს რჯულის რიტუალური წესების მიზანიც სწორედ ეს იყო.

ქადაგების დასაწყისში მოცემული ჩვენი მთავარი შეკითხვა ეხებოდა რჩევას, ორიენტირს, მითითებას, რომელიც დაგვეხმარებოდა გაგვეგო, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ, რა განწყობითა და ფიქრით უნდა მივიღოთ ყოველდღიური გადწყვეტილებები ჩვენს ცხოვრებაში. ზემოთ მოყვანილი ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები მიგვანიშნებენ ისრაელის სოციალურ-საზოგადოებრივ წყობაზე, მოსეს ხუთნიგნეულზე, მის რჯულზე და მათ მესიანურ განმარტებაზე (იესოს ქადაგება მთაზე). საჭიროა ვიკითხოთ... იესოს ცხოვრების შუქზე გააზრებული მოსეს ხუთნიგნეული გვიბოძებს სიყვარულით გამსჭვალული ცივილიზაციის ხედვას, მისით აღმოვაჩინებთ საკუთარ თავს „ახალი აღთქმის“ გულში.

გერმანულიდან თარგმნა სოფიო გოზალიშვილმა
დასასრული, დასაწყისი "საბა" #7 (331)

ჰილდეგარდ ფონ ბინგენის ჰანმრთელობის რეცეპტი ან, უბრალოდ, ასლი

ჯანსაღი კვება მუდამ მოდური და აქტუალური თემაა, იმდენად აქტუალური, რომ წმიდანებსა და ეკლესიის მასწავლებლებსაც არაერთხელ მიუმართავთ მისთვის. ამჟამად გასაკვირი არაფერია, რადგან ჩვენი სხეულის ჯანმრთელობა მეტწილად კვებაზეა დამოკიდებული, სხეული კი, როგორც ვიცით, „სულიწმიდის ტაძარია“, ამიტომ გვმართებს მისი გაფრთხილება და მოვლა.

ერთ-ერთი ნათელი მაგალითი წმიდანებისა, რომლებმაც შეისწავლეს საკვების გავლენა სხეულისა და სულის სიჯანსაღეზე, არის ჰილდეგარდ ფონ ბინგენი (Hildegard von Bingen), მისტიკოსი და ეკლესიის მასწავლებელი. ამ ქალის ნიჭიერებას და მის ინტერესს ცხოვრების ყველა ასპექტისადმი არ ჰქონდა საზღვარი: იგი ქმნიდა მუსიკალურ და პოეტურ ნაწარმოებებს, მიმონერას აწარმოებდა იმპერატორთან და პაპთან, გავლენას ახდენდა როგორც პოლიტიკაზე, ასევე სულიერ ცხოვრებაზე და, გარდა ამისა, სწორედ მის კალამს ეკუთვნის XII საუკუნეში დასავლეთში დაწერილი ორადორი სამედიცინო ნაშრომი. მათში ჰილდეგარდმა არა მხოლოდ განაზოგადა თავისი დროის ბუნებრივი და სამედიცინო ცოდნა, არამედ მნიშვნელოვნად შეავსო ისინი საკუთარი დაკვირვებებით.

ჰილდეგარდი განსაკუთრებით გვიჩვენებს სამ პროდუქტს, რომლებიც, მისი აზრით, ძალიან სასარგებლოა და შეუძლია გაზარდოს viriditas - სასიცოცხლო ენერჯია, რაც ადამიანისთვის ისევე საჭიროა, როგორც წვენი მცენარეებისათვის. უწინარესად, ეს არის ასლი (წყვილმარცვალა, Triticum dicoccum - ერთწლოვანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა) - ნაკლებად ცნობილი მარცვლოვანი, რომელიც, როგორც ჰილდეგარდ ფონ ბინგენი ირწმუნება, ყველაზე უფრო სასარგებლოა. ხორბალი მარგებელია პურის სახით, განსაკუთრებით თუ

მთლიანი მარცვლეულისგანაა, „ის აუმჯობესებს ხორცსა და სისხლს“.

დღეს ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ადამიანები ასლს საკვებად იყენებდნენ უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე. სწორედ ეს მარცვლეული კულტურაა ხორბლის ყველა თანამედროვე ჯიშის წინამორბედი. ასლის უძველესი აღმოჩენები თარიღდება ჩვენს ერამდე 6-5 ათასწლეულით. ასლის უდავო უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ იგი მარტივად იზრდება ყველგან და არ საჭიროებს სასუქს. მარცვლების მყარი გარსი იცავს მათ მავნებლებისა და დაავადებებისაგან. ასლი არის სუფთა მცენარეული ცილა, ამიტომ ის მშვენივრად ანაყრებს, ამასთან, წარმოადგენს დიეტურ პროდუქტს ვიტამინებისა და სასარგებლო ნივთიერებების დაბალანსებული კომპლექსით.

გარდა საკვებისა, ასლი გამოიყენებოდა სხვადასხვა რელიგიურ რიტუალებში. ძველ რომში მას წვავდნენ მსხვერპლშენივრის დროს, ხოლო ქორწინების ცერემონიისას მისგან მომზადებულ პურს სწირავდნენ მსხვერპლად. სომხეთში არსებობს ქორწინების ტრადიცია, როდესაც ტაძრიდან გამოსულ ახალდაქორწინებულებს ასლის მარცვლებს აყრიან.

წმიდა ჰილდეგარდის დროს ასლი კარგად ცნობილი და ძალიან პოპულარული იყო. სავარაუდოდ, მას მიირთმევდნენ ფაფის სახით, როგორც რუსეთში, ისე სომხეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

ასლისგან მომზადებული გემრიელი და სასარგებლო ფაფის რეცეპტი:

- 2 ჭიქა ასლის ბურღული
- 4 ჭიქა წყალი
- 350 გრ. ნაღების კარაქი
- მარილი, შაქარი გემოვნებით

მომზადება:

ჩაასხით წყალი პატარა ქვაბში და დადგით ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე. სანამ წყალი ადუღდება, დაყარეთ ასლი საწურზე და გულმოდგინედ გარეცხეთ. შემდეგ ნელ-ნელა ჩაყარეთ გარეცხილი ასლი მდულარე წყალში. დაუკელით ცეცხლს და ხარშეთ 30 წუთის განმავლობაში, როცა მზად იქნება, დაუმატეთ მარილი და შაქარი გემოვნებით. სუფრაზე მიტანამდე ფაფას შეურიეთ ნაღების კარაქი.



ბულინგის შესახებ

ერთმა მოსწავლემ გადაწყვიტა, გაეზიარებინა ჩვენთვის თავისი გამოცდილება, თუ როგორ უნდა აეხსნა იოლად და გასაგებად მოსწავლეებისთვის (მშობლებიც უნდა დაფიქრდნენ ამაზე), რატომ არის ბულინგი (დამცირება, ძალადობა, შეურაცხყოფა) ცუდი...

„ერთხელ, გაკვეთილის დანწყებამდე, მაღაზიაში შევედი და ორი ვაშლი ვიყიდე, ორივე ერთი ფერისა და ზომის... როგორც კი დაიწყო გაკვეთილი, ბავშვებს ვკითხე: „რით განსხვავდება ერთმანეთისგან ეს ვაშლები?“ ისინი გაჩუმდნენ, რადგან მათ შორის დიდი განსხვავება ნამდვილად არ იყო. მერე ერთი ვაშლი ავიღე, შევხედე მას და მივმართე: „არ მომწონხარ! საზიზლარი ვაშლი ხარ!“ შემდეგ ვაშლი ძირს დავაგდე. მოსწავლეები გაცებულნი მიყურებდნენ, ხომ არ შეიშალაო. მერე ერთ-ერთ მათგანს ვაშლი მივანოდე და ვუთხარი: „იპოვე ის, რაც არ მოგწონს მასში და შენც ასევე ძირს დააგდე“. მოსწავლემ მორჩილად შეასრულა თხოვნა. ასე მოიქცნენ დანარჩენებიც.

უნდა ითქვას, რომ ბავშვებმა იოლად უპოვეს ვაშლს რაღაც ნაკლი: „არ მომწონს შენი კუდი! საზიზლარი კანი გაქვს! ჭიებით ხარ სავსე!“ - ამბობდნენ და ყოველ ჯერზე ვაშლს ძირს ანარცებდნენ. როცა ხილი უკან დამიბრუნეს, ისევ ვკითხე მათ, ნახეს თუ არა განსხვავება ამ ვაშლსა და მეორეს შორის, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემს მაგიდაზე იდო. ბავშვები ისევ დაიბნენ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის მიყოლებით აგდებდნენ ვაშლს იატაკზე, გარეგნულად ის დიდად არ დაზიანებულა და თითქმის ისეთივე იყო, როგორც მეორე.

შემდეგ ორივე ვაშლი შუაზე გავჭერი. ის, რომელიც მაგიდაზე იდო, შიგნიდან თოვლივით თეთრი იყო, და ყველას ძალიან მოეწონა. ბავშვებმა ერთხმად განაცხადეს, რომ სიამოვნებით მიირთმევდნენ მას. მაგრამ მეორე შიგნიდან ყავისფერი აღმოჩნდა, ჩვენ მიერ „დალილავებული“. არავის სურდა შეეჭამა.

„ის ხომ ჩვენ ვაქციეთ ასეთად! ეს ჩვენი ბრალია!“ - ვუთხარი ბავშვებს. საკლასო ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ერთი წუთის შემდეგ განვაგრძე: „ზუსტად ასე მოსდით ადამიანებს, როცა შეურაცხყოფთ და ვლანძლავთ. გარეგნულად ეს მათზე არ აისახება, მაგრამ განუზომელ შინაგან ჭრილობებს ვაყენებთ მათ!“

ჩემს მოსწავლეებს აქამდე ასე სწრაფად არაფერი გაუგიათ. ყველამ დაიწყო თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება, თუ რა უსიამოვნოა, როცა მათ ლანძლავენ. ერთმანეთის მიყოლებით ავტირდით, მერე ყველას გაგვეცინა. გაკვეთილი რომ დამთავრდა, ბავშვები ჯერ მე გადამეხვივნენ, მერე კი ერთმანეთს ჩაეხუტნენ. რა კარგია, რომ ჩემმა ძალისხმევამ ამოდო არ ჩაიარა!“

ჩემს მოსწავლეებს აქამდე ასე სწრაფად არაფერი გაუგიათ. ყველამ დაიწყო თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება, თუ რა უსიამოვნოა, როცა მათ ლანძლავენ. ერთმანეთის მიყოლებით ავტირდით, მერე ყველას გაგვეცინა. გაკვეთილი რომ დამთავრდა, ბავშვები ჯერ მე გადამეხვივნენ, მერე კი ერთმანეთს ჩაეხუტნენ. რა კარგია, რომ ჩემმა ძალისხმევამ ამოდო არ ჩაიარა!“





ქუთაისში ბავშვთა დღის ცენტრი დაიბოროდა

დაზმულებისთვის უფასო სასადილო მოწყობილი. უხვი ნაღების შედეგად კი დაიბოროდა სწორედ ის საწყობი, სადაც ჰუმანიტარული სასადილოსთვის განკუთვნილი პროდუქტი ინახებოდა. როგორც დირექტორი აღნიშნავს, ბავშვთა დღის ცენტრში ასე ბავშვი ირიცხება, ჰუმანიტარულ სასადილოში კი სამოცდაათი ბენეფიციარია. „ზარალი საგრძნობია, პირველ სართულზე ავეჯი გაფუჭდა...“, - აცხადებს ლევან ბეგიშვილი. ბავშვთა დღის ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, მათ მუნიციპალიტეტსა და მერიას აღნიშნულის შესახებ უკვე აცნობებს და შესაბამის რეაგირებას ელოდებიან.

საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის“ ქუთაისის ბავშვთა დღის ცენტრი სტიქიის შედეგად დაიბოროდა. როგორც ტაბულას ცენტრის დირექტორმა ლევან ბეგიშვილმა განაცხადა, პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც დღის ცენტრი უხვი ნაღების შედეგად იტბორება. მისივე თქმით, წყლის სიმალემ შენობაში, დაახლოებით, 1 მეტრს მიაღწია და პირველი სართული სრულად არის წყლით დაფარული. ამასთან, ბეგიშვილი დასძენს, რომ ბავშვთა დღის ცენტრის შენობაში ხან-

საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ ოფიციალურად 1994 წლის 3 ნოემბერს კათოლიკე ეკლესიამ დააარსა. ორგანიზაცია საქართველოს გაჭირვებულ მოსახლეობას ემსახურება, ამასთან ხელს უწყობს ქვეყანაში ქველმოქმედებისა და სამართლიანობის დამკვიდრებას.

<https://tabula.ge>

2023 წლის 10 ივლისს, ბოვლონეში (იტალია) გარდაიცვალა საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსის, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს დედა, ვანდა ფერაცო.

13 ივლისს გაიმართა დაკრძალვის ცერემონია: გადასვენება ეკლესიაში, გამოსამშვიდობებელი წმიდა წირვა, რომელიც მეუფე ჯუზეპემ ალავლინა; ოჯახის წევრების გარდა, წირვას ესწრებოდნენ: ვერონის ეპისკოპოსი, მღვდლები, დიაკვნები და მრევლი.

ყოველთვის მემახსოვრება მეუფის მზერა, მზერა, რომელიც არ ჰგავდა ჩვეულებრივს, მზერა, რომელიც ხედავდა ცოცხალ დედას, მზერა, რომელიც სავსე იყო სიყვარულით, მადლიერებითა და რწმენით.

პატივი მერგო, წირვის შემდეგ, ჩვენი ეკლესიის სახელით, გამოსამშვიდობებელი წერილი წამეკითხვა და კიდევ ერთხელ მეთქვა მადლობა. დედა, მადლობა ყველაფრისთვის, მადლობა შენი შვილისთვის, რომელმაც თითქმის ნახევარი ცხოვრება გვაჩუქა, მადლობა ლოცვისთვის და, გთხოვთ, ილოცეთ ჩვენთვის!

დიაკონი კონსტანტინე აკოფაშვილი



ბანსვენება საუკუნო მიანიჭ მათ, უფალო!



გელა ხითარიშვილი
* 06. 01. 1967, ვალე
† 07. 06. 2023, ვალე



იოსაბ ხითარიშვილი
* 25. 08. 1962, ვალე
† 02. 06. 2023, ვალე



მარიამ ავრიაშვილი
* 24. 05. 1936, არალი
† 28. 06. 2023, არალი



კეტევა ალაშვილი
* 25. 01. 1962, ახალშენი
† 23. 06. 2023, ახალშენი



ანა-ლინდორინა თათოშვილი
ყველიაშვილისა
* 21. 12. 1951, უდე
† 15. 07. 2023, თბილისი



რაბაზ ნიშაბაჯი
* 08. 12. 1972, ქუთაისი
† 29. 06. 2023, ქუთაისი



ვატიკანის სახელმწიფო მდივნის, კარდინალ პიეტრო პაროლინის ვიზიტი სომხეთში, 2023 წლის 11-13 ივლისი

საგარეო ურთიერთობების
სამსახური
THE DIPLOMACY BUREAU OF
CATHOLICITY OF GEORGIA - 0434

საბუა

ISSN 2720-8001

თბილისი, თბილისის რაიონი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, კაპიტანის სახლი, 101
საგარეო ურთიერთობების სამსახური, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, კაპიტანის სახლი, 101
00000 თბილისი, საქართველო. მისამართი: ვაჟა-ფშაველას ქუჩა, კაპიტანის სახლი, 101
მისამართი: ვაჟა-ფშაველას ქუჩა, კაპიტანის სახლი, 101
E-mail: info@diplomacybureau.ge, info@diplomacybureau.ge, info@diplomacybureau.ge © 2023